პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი
№ 232 (11538)

კვირა, 4 ოქტომბერი, 1959 წ.

ფასი 20 კაპ.

დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამსხვრევისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს!

2. დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამსხვრევისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილ დროშას, ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ იდეურ იარაღს!

4. სკკპ XXI ყრილობით აღინიშნა ჩვენი სამშობლოს შესვლა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. საბჭოთა კავშირის ხალხებმა! მთელი ძალღონე, მთელი ენერგია მოახმარეთ კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების შესრულებას!

5. მგზნებარე სალამი ყველა ქვეყნის მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ავანგარდს მშვიდობისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში! გაუმარჯოს კომუნისტური და მუშათა პარტიების ურღვევ ერთიანობასა და მჭიდრო დარაზმულობას!

6. დაე მტკიცდებოდეს ყველა ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა მოქმედების ერთიანობა! გაუმარჯოს მშრომელთა ყველა ორგანიზაციის თანამშრომლობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

7. გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას! უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

8. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

9. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომელნიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

10. ყველა ქვეყნის ხალხებო! მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება ჩვენი დროის მთავარი საკითხია! ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის!

11. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ ყველა სახელმწიფოს საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და სამუდამოდ აკრძალვისათვის!

12. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ „ცივი ომის“ სრული ლიკვიდაციისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის! მეორე მსოფლიო ომის ნაშთების უსწრაფესად ლიკვიდაციისათვის! გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის მოსპობისათვის!

13. გაუმარჯოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემას! დაე მტკიცდებოდეს და ყვაოდეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა დიადი თანამეგობრობა.

14. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც სოციალიზმს აშენებს! გაუმარჯოს საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრ ბურჯს!

15. ძმური სალამი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა და ალბანელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

16. ძმური სალამი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

17. ძმური სალამი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა და უნგრელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

18. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც აშენებენ სოციალიზმს, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

19. გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — მთელი გერმანიის პროგრესული ძალების ბურჯს მშვიდობისათვის, ერთიანი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლაში! ძმური სალამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობა!

20. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც აშენებენ სოციალიზმს, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა და კორეელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

21. ძმური სალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა და მონღოლი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

22. ძმური სალამი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა და პოლონელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

23. ძმური სალამი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა და რუმინელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

24. ძმური სალამი ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

25. ძმური სალამი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს! დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა და იუგოსლავი ხალხების მეგობრობა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესების სასარგებლოდ!

26. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

27. მხურვალე სალამი ინდონეზიის, ბირმის, ცეილონის, კამბოჯის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

28. მხურვალე სალამი ავღანელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის კეთილმეზობლური ურთიერთობა!

29. მხურვალე სალამი სალამი არაბული აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტთა ხრიკების წინააღმდეგ, კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, თავიანთი სახელმწიფოების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის!

30. მხურვალე სალამი აფრიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის! თავისუფლება კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ყველა ჩაგრულ ხალხს!

31. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის, თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

32. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას ცივი ომის ლიკვიდაციისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის!

33. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მეგობრობა და თანამშრომლობა!

34. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

35. მხურვალე სალამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებსა და მთელ პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმისა და ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ!

36. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იტალიის ხალხთა მეგობრულ ურთიერთობას!

37. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

38. დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა ხალხსა და შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის ხალხებს შორის!

39. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

40. მხურვალე სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის თავის ტერიტორიაზე, იაპონიის დემოკრატიული და დამოუკიდებელი განვითარებისათვის, მშვიდობისა და ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან მეგობრობისათვის!

41. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების, ყველა ქვეყანასთან ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

42. გაუმარჯოს მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალების დიდებით მოსილ გამარჯვებებს, რომლებიც ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობის, სახელმწიფო ინტერესებისა და უშიშროების სადარაჯოზე.

43. გაუმარჯოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს — საბჭოთა წყობილების მტკიცე და ურყევ საფუძველს!

44. გაუმარჯოს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

45. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას! წინ ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში!

46. გაუმარჯოს საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, რომლებმაც ახლი მოუხვეჭეს ჩვენს სამშობლოს მთვარეზე ისტორიაში პირველი კოსმოსური გაფრენით, რამაც ახალი ერა დაიწყო ადამიანის მიერ კოსმოსური სივრცის დაპყრობაში!

47. ქალაქისა და სოფლის მშრომელებო! უმოკლეს ისტორიულ ვადაში მოვიპოვოთ გამარჯვება კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში! დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ!

48. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ ყოველი საწარმოსა და მშენებლობის, ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის! შვიდწლედის წარმატებით შესრულება ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების საფუძველია!

უფრო ფართო გაქანება მივცეთ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას!

49. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასვლა დიდმნიშვნელოვანი ეტაპია იმ გზაზე, რომ სსრ კავშირში განხორციელდეს ყველაზე მოკლე სამუშაო დღე მსოფლიოში. კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომითი აქტივობა და სოციალისტური შრომის დისციპლინა!

გაუმარჯოს 7 საათის სამუშაო დღეს!

50. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის! კომპლექსური მექანიზაციისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისათვის, ტექნიკაში კონსერვატიზმის, გაყინვის, ჩამორჩენილობის წინააღმდეგ!

51. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაავრცელეთ და დანერგეთ შეჯიბრების მოწინავეთა, წარმოების ნოვატორთა გამოცდილება, განავითარეთ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მასობრივი მოძრაობა! უკეთ გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრენი და სახალხო მეურნეობის რეზერვები!

52. დიდება კომუნისტური შრომის ბრიგადებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რომლებიც კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში არიან!

53. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! რაციონალურად გამოიყენეთ კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალური რესურსები, მტკიცედ იბრძოლეთ სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის, საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის!

54. მუშებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო და ოსტატებო! ყოველი ღონისძიებით აუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია, უზრუნველყავით საწარმოთა და მშენებლობათა რიტმული მუშაობა!

55. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გრამებისაგან შედგება ტონები, კაპიკებისა და მანეთებისაგან — მილიონები და მილიარდები! გასწიეთ მომჭირნეობა დიდსა და მცირეში, წარმოების ყოველ უბანზე, გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

56. მძიმე მრეწველობა მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საფუძველია! დიდება მძიმე ინდუსტრიის მუშაკებს!

57. საბჭოთა მეტალურგებო! აუმჯობესეთ წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია! გააძლიერეთ ახალი მადნის საბადოების ათვისების ტემპი! მეტი მადანი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი და იშვიათი ლითონები სახალხო მეურნეობას!

58. მანქანათმშენებლობის მუშაკებო! უფრო სწრაფად აითვისეთ უახლესი დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება! მტკიცედ იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, ავტომატიზებული ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვისათვის!

59. ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებო! განუწყვეტლივ გააძლიერეთ ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ახალი საბადოების ათვისების ტემპი! გაზარდეთ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების სიმძლავრენი, გააუმჯობესეთ ნავთობპროდუქტების ხარისხი! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ნავთობი და გაზი!

60. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! უფრო ფართოდ დანერგეთ ქვანახშირის ამოღების კომპლექსური მექანიზაცია და ეფექტიანი ხერხები! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, შეამცირეთ ქვანახშირის თვითღირებულება და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

61. საბჭოთა ენერგეტიკოსებო, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მშენებლებო და მემონტაჟეებო! უფრო სწრაფად აამოქმედეთ და აითვისეთ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ელექტროენერგია!

62. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში ახალი სიმძლავრეები, გააფართოეთ ქიმიური პროდუქტების ასორტიმენტი! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალხარისხოვანი და იაფი საქონელი ქიმიური ნედლეულისაგან, მეტი მინერალური სასუქები სოფლის მეურნეობისათვის!

63. საბჭოთა მშენებლებო! გააძლიერეთ ახალი საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის ტემპი! უფრო ფართოდ დანერგეთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები! აშენეთ ხარისხიანად, ლამაზად, იაფად!

64. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ საშენ მასალათა წარმოება, გააუმჯობესეთ მათი ხარისხი! მეტი ცემენტი, ასაწყობი კონსტრუქციები და დეტალები შვიდწლედის მშენებლობათათვის!

65. ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაკებო! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მერქანი, ავეჯი, ცელულოზა და მაღალი ხარისხის ქაღალდი!

66. მსუბუქი მრეწველობის მუშაკებო! მივცეთ მშრომელებს მეტი კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილები, კარგი ტანსაცმელი, მკვიდრი, ლამაზი ფეხსაცმელი და ფართო მოხმარების სხვა საქონელი!

67. კვების მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ სასურსათო საქონლის წარმოება, გაუმჯობესეთ კვების პროდუქტების ხარისხი!

68. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზის ჭერა! განავითარეთ თევზჭერა გაშლილ ზღვებსა და ოკეანეებში! უფრო ფართოდ გამოიყენეთ შინაგანი წყალსატევები!

69. საბჭოთა ტრანსპორტის მუშაკებო! უზრუნველყავით შეუფერხებელი ტვირთზიდვა! გაუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! იბრძოლეთ ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქციის უსწრაფესად განხორციელებისათვის, ფართო მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის!

70. კავშირგაბმულობის მუშაკებო! უფრო ფართოდ განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! მიაღწიეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოსა და ტელევიზიის უნაკლო მუშაობას! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

71. ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ პროდუქციის გამოშვება, აამაღლეთ წარმოების კულტურა! ყოველი ღონისძიებით აუმჯობესეთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება!

72. კოლმეურნეებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეურნეობა, გაადიდეთ განუყოფელი ფონდები — საკოლმეურნეო სიმდიდრის საფუძველი! გააფართოვეთ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო კავშირურთიერთობა!

73. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო ტექნიკური სადგურების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მივცეთ სამშობლოს მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყლი, კვერცხი, ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები!

74. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, შექმენით მტკიცე საკვები ბაზა, გაადიდეთ პირუტყვის პროდუქტიულობა; გაუმჯობესეთ ჯიში! გადავჭარბოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ!

75. კოლმეურნეებო, სოფლის მექანიზატორებო! უკეთ გამოიყენეთ მოწინავე ტექნიკა, უფრო ფართოდ დანერგეთ შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში!

76. საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! გაადიდეთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და შეამცირეთ თვითღირებულება! გადავაქციოთ ჩვენი ქვეყნის ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო და მაღალრენტაბელურ საწარმოებად!

77. ყამირი მიწების მშრომელებო! განამტკიცეთ და გაამრავლეთ მიღწეული წარმატებანი, იბრძოლეთ მარცვლეული კულტურების უხვი და მყარი მოსავლისათვის, ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა!

78. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! ყაირათიანად აწარმოეთ მეურნეობა, უკეთ გამოიყენეთ მიწა, უფრო სწრაფად დანერგეთ თესლბრუნვა! ყოველი ღონისძიებით აამაღლეთ მიწათმოქმედების კულტურა! იბრძოლეთ იმისათვის, რომ მეტი რაოდენობით მიიღოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები ას ჰექტარ მიწაზე!

79. საბჭოთა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებო! იბრძოლეთ მოსახლეობის მომსახურეობის მაღალი კულტურისათვის, უკეთ შეისწავლეთ მოთხოვნა და უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებანი!

80. საბჭოთა მოსამსახურეებო! აუმჯობესეთ საბჭოთა აპარატის მუშაობა! ყურადღებით მოეპყარით მშრომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს! მაღალი ორგანიზებულობისა და სიზუსტისათვის საბჭოთა აპარატის მუშაობაში!

81. მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის მუშაკებო! იბრძოლეთ მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის! უფრო მჭიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან! ამზადეთ კომუნიზმის ეპოქის ღირსი სპეციალისტები!

გაუმარჯოს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას!

82. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! უფრო მკაფიოდ ასახეთ თქვენს ნაწარმოებებში საბჭოთა ადამიანების ცხოვრება და საქმეები, იბრძოლეთ ნაწარმოებთა მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის! ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო, ურღვევი კავშირისათვის ხალხის ცხოვრებასთან, თანამედროვეობასთან!

83. სახალხო განათლების მუშაკებო! გაუმჯობესეთ ბავშვთა სწავლების ხარისხი, იბრძოლეთ ცხოვრებასთან, წარმოებასთან სკოლის მჭიდრო კავშირისათვის! აღზარდეთ მოზარდი თაობა შრომისადმი სიყვარულისა და საბჭოთა სამშობლოსადმი კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით!

84. მედიცინის მუშაკებო! გაუმჯობესეთ და განავითარეთ სახალხო ჯანმრთელობის დაცვა, აამაღლეთ კულტურა სამკურნალო და სანიტარიულ დაწესებულებათა მუშაობაში! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების უახლესი მიღწევები!

85. გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ხელისუფლების ნამდვილად სახალხო ორგანოებს ჩვენს ქვეყანაში!

86. საბჭოთა პროფკავშირებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ მუშათა კლასისა და ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის! დარაზმეთ მშრომელთა ღონისძიებანი შვიდწლიანი გეგმის შესასრულებლად!

87. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

88. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

89. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

90. კომკავშირელებო, საბჭოთა ახალგაზრდობავ! ისწავლეთ ცხოვრება და მუშაობა კომუნისტურად! გამოიმუშავეთ მაღალი მორალური თვისებები! იყავით კომუნიზმის შეგნებული და დაუცხრომელი მშენებლები!

91. პიონერებო და მოსწავლეებო! შეუპოვრად და ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნასა და შრომითს ჩვევებს! ემზადეთ გახდეთ ლენინის დიადი საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლები!

92. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

93. გაუმარჯოს და განმტკიცდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა — სოციალისტური წყობილების ძალის წყარო, კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა საწინდარი!

94. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯს!

95. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

96. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

97. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

98. გაუსარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

წარმატებით გადავჭრათ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები

საქართველოს მასწავლებელთა 1 ყრილობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე ესაუბრება საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობის დელეგატებს. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დელეგატები საქართველოს მასწავლებელთა პირველ ყრილობაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

ყრილობის დელეგატებმა საქმიან ვითარებაში დაწვრილებით განიხილეს უმნიშვნელოვანესი და სასტატო ამოცანები, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის განათლების მუშაკთა 54 ათასიანი არმიის წინაშე ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის პროგრამის განხორციელების საქმეში, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **გ. ნ. ჯიბლაძემ.**

— საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა, — თქვა ამხ. ჯიბლაძემ, — შეიკრიბა ისტორიულ მომენტში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა განიცდის უმაგალითო ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმავლობას. ქალაქისა და სოფლის მშრომელები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, წარმატებით ახორციელებენ შვიდწლიანი გეგმის დავალებებს. უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები ცნობას ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი, უდიდესი გამარჯვების — კოსმოსური რაკეტის მთვარეზე წარმატებით გაშვების შესახებ. ყველა საბჭოთა ადამიანი, მთელი პროგრესული კაცობრიობა შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მშვიდობის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, ჩვენი ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ისტორიულ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკელი ხალხის წინაშე თავის ბრწყინვალე გამოსვლებში ცხადყო, რომ ქვეყანამ, რომელმაც პირველმა აააწია სოციალიზმი, მიაღწია უდიდეს წარმატებებს მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და განათლების ყველა დარგში. ეს თვალსაჩინო წარმატებანი ჩანს თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების განვითარების მაგალითით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში იყო სულ 40 საშუალო სკოლა, ახლა კი არის 1046. 1921 წელს რესპუბლიკაში მუშაობდა 5 ათასი მასწავლებელი, ახლა სახალხო განათლების ფრონტზე შრომობს 54 ათასი პედაგოგი.

ამხ. ჯიბლაძე ამბობს, რომ ახლა საბჭოთა სკოლა შეიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში. კომუნისტური პარტიის მიერ დასახული სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის პროგრამის მიზანია აღმოიფხვრას ჩვენი სკოლის ძირითადი ნაკლი — ცხოვრებისაგან მოწყვეტა. სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, კანონში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ „რესპუბლიკის სკოლების რეორგანიზაცია დაიწყო მიმდინარე სასწავლო წლიდან და უნდა დამთავრდეს 3-5 წლის განმავლობაში. ამ მიმართულებით უკვე შესრულდა გარკვეული მუშაობა. 1-5 კლასებში შემოღებულია ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, ხოლო VI-X კლასების გეგმებში შეტანილია ცვლილებები, რომელთა მიზანია შრომითი აღზრდის გაძლიერება. ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს 168 სკოლის მეცხრე კლასებში შემოღებული იქნება საწარმოო სწავლება.

მომხსენებელს მოჰყავს ნაყოფიერ შრომასთან სწავლის წარმატებით შეთავსების კონკრეტული მაგალითები, ლაპარაკობს პირველ დაღებით გამოცდილებაზე, რაც ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის საუკეთესო სკოლებმა შეიძინეს. გასული სასწავლო წლიდან სტავროპოლის მხარის სკოლების მაგალითი-სამგბრ შეიქმნა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებმა, რომლებშიც გაერთიანებულია 89 ათასი მოსწავლე, გასული სასწავლო წლის განმავლობაში გამოიმუშავეს 1.200.000 შრომადღე.

საქართველოში დიდად განვითარდა უკანასკნელ წლებში ახალი ტიპის სასწავლებლები — სკოლა-ინტერნატები. მათი რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. ამჟამად რესპუბლიკაში 29 სკოლა-ინტერნატი. შვიდწლედის ბოლოსთვის აშენდება 145 სკოლა-ინტერნატი 42 ათასი მოსწავლისათვის.

საყოველთაოდ ცხობილია, — ამბობს ამხ. ჯიბლაძე, — რომ სკოლაში ცენტრალური ფიგურაა მასწავლებელი. სახელმწიფომ სწორედ მას მიანდო ჩვენი ბავშვების აღზრდა და განათლება. საქართველოში ბევრია მშვენიერი მასწავლებელი, სკოლების კარგი დირექტორი, რომლებიც განათლების მუშაკთა საქმის ერთგული არიან.

ამხ. ჯიბლაძე აღნიშნავს, რომ ყველგან როდი ხორციელდება საბჭოთა მთავრობის ცნობილი გადაწყვეტილება დაწყებითი და შვიდწლიანი სკოლების მასწავლებლებისათვის შეღავათებისა და უპირატესობის მინიჭების შესახებ. რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველა ღონისძიება უნდა მიიღონ მასწავლებლებისათვის ბინების მშენებლობის დასაჩქარებლად.

საჭიროა განუხრელად ვაუმჯობესებდეთ ჩვენი პედაგოგების პროფესიულ ოსტატობას. ამ საქმეში დიდი ამოცანა ეკისრება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს.

ახლა, როცა ხორციელდება სწავლების შეხამება ნაყოფიერ შრომასთან, მასწავლებელთა ამოცანა ერთიორად დიდდება, რადგან შრომამ უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლებაზე.

სკოლის რეორგანიზაციის საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. უკანასკნელ დროს სკოლების დირექტორებმა, სასწავლო ნაწილის გამგეებმა, კლასების ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა გააძლიერეს დახმარება სკოლების კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

მოზარდი თაობის აღზრდაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა. ახლა, როცა საბჭოთა სკოლა ახალ გზაზეა, ჩვენი მწერლები უფრო ახლოს უნდა მივიდნენ მასთან.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს:

ჩვენი წარმატებანი სახალხო განათლების დარგში კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, განათლების თვითეული მუშაკი მთელ თავის ძალებსა და ცოდნას რომ აზმარდეს მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, ჩვენი ყრილობა უეჭველად შეუწყობს ხელს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ჩვენ ყველა შესაძლებლობა და ყველა საჭირო პირობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ სანიმუშოდ შეგასრულოთ ჩვენთვის დაკისრებული დიდი და საპატიო მოვალეობა.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. პირველი გამოვიდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე **თ. ნ. ეგაძე.**

— ჩვენი ქვეყანა, ამბობს იგი, — შევიდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. შვიდწლედში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პერსპექტივები ახალ გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ სკოლას. სკოლა უნდა ამზადებდეს მაღალი ზოგადი განათლებისა და შრომითი კულტურის, ფართო პოლიტექნიკური ჰორიზონტის მქონე ადამიანებს. სახალხო განათლების სისტემის განვითარების ახალ ეტაპზე ყოველმხრივი გონებრივი განვითარების უზრუნველყოფასთან ერთად ძირითადი ამოცანაა მოსწავლეთა მომზადება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის, პრაქტიკული საქმიანობისათვის. ამ დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული განათლების ორგანოების სწორ, ზუსტ მუშაობაზე, სწორად დამუშავებულ გეგმებზე, კვალიფიციური კადრებით სკოლების განმტკიცებასა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაზე.

ორატორი ლაპარაკობს იმ მუშაობაზე, რომელიც ამ მიმართულებით შეასრულეს რესპუბლიკის დედაქალაქის სახალხო განათლების ორგანოებმა. მეცხრე კლასების დაახლოებით 900 მოსწავლე საწარმოო სწავლებას გადის ფაბრიკა - ქარხნებში, სადაც მათთვის შექმნილია ყველა პირობა, რათა დაეუფლონ შრომითს პროფესიებს. სწავლებისა და ნაყოფიერი შრომის შეერთების პირველმა ცდებმა დადებითი გავლენა მოახდინა მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებასა და დისციპლინის განმტკიცებაზე. მაგრამ არის ზოგიერთი ნაკლი. კერძოდ, იგრძნობა, რომ საკმარისი არ არის პოლიტექნიკური სწავლებისათვის საჭირო პედაგოგთა კადრები. განათლების სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საწარმოო სწავლების ხელმძღვანელთა მომზადებას.

სიტყვას ამბობს აჭარის ასსრ განათლების მინისტრი **დ. ბ. თებიძე.** მან თქვა, რომ მასწავლებელთა ყრილობა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს სახალხო განათლების ისტორიაში.

პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით, — ამბობს ორატორი, — აჭარის რესპუბლიკაში მიღწეულია დიდი წარმატებანი სახალხო განათლების დარგში. თუ 1921 წელს აჭარაში იყო მხოლოდ 38 სკოლა, ახლა არის 415. მოსწავლეთა რიცხვი აღწევს 45 ათასს. მათ ასწავლის 4 ათასზე მეტი მასწავლებელი.

აჭარაში შეძენილია ზოგადსაგანმანათლებელი საშუალო სკოლის გარდაქმნის, ცხოვრებასთან მისი დაახლოების, ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეერთების გარკვეული გამოცდილება. მაგალითად, მე-15 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა, რომლებმაც წარშან დაასრულეს სწავლა, სიმფიფის ატესტატთან ერთად მიიღეს ჩაის მრეწველობის ტექნოლოგის წოდება. ბევრი მთგანი სამუშაოდ დარჩა ბათუმის ჩაის ფაბრიკაში, სადაც ისინი საწარმოო სწავლებას გადიოდნენ. ახალი სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილი არიან 11 საშუალო სკოლის მეცხრე კლასების მოსწავლეები. ისინი ეუფლებიან შრომითს პროფესიებს ბათუმის მანქანათსამშენებლო და ხისდამამუშავებელ ქარხნებში, სამკერვალო ფაბრიკაში. მთელი რიგი სასოფლო სკოლების მოსწავლეები სკოლაში სწავლების პროცესში დაეუფლებიან მებაღეების, მემინდვრეების, მებოსტნეების, მეჩაიეების პროფესიებს.

— მასწავლებელი, — ამბობს **დ. ბ. თებიძე,** — ცენტრალური ფიგურაა სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში. მას ეკუთვნის გადამწყვეტი როლი სკოლის გარდაქმნის კანონის განხორციელებაში. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექციეს სკოლების დაკომპლექტებას კვალიფიციური კადრებით, პედაგოგთა კადრების მომზადების გაუმჯობესებას.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის მდივანს **გ. ი. კენჩაშვილს.** იგი ამბობს, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნას შეხვდნენ როგორც თავიანთ სასიცოცხლო საქმეს. ისინი რაზმავენ საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ საზოგადოებრიობას ამ დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანის განხორციელებისათვის. სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების დახმარებით შესრულდა მნიშვნელოვანი მუშაობა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. კოლმეურნეობების ძალებით აშენებულია 10 ახალი სკოლა, არსებულ სკოლის შენობებს მიშენებული აქვს 40 საკლასო ოთახი. ამან შესაძლებელი გახადა 76 სკოლა გადაგვეყვანა ერთცვლიან მეცადინეობაზე.

პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში ძირითად ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა საწარმოო სწავლების განხორციელებას. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ამ საქმეში ჩაბას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ადამიანები, რომლებსაც აქვთ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მუშაობის დიდი გამოცდილება.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისათვის, სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის თუმცა განხორციელდა მნიშვნელოვანი მუშაობა, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა მომზადებაში. ამავე საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება თავიანთ გამოსვლებში ოჩამჩირის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგმა **ვ. კ. ტუუბამ,** თბილისის 82-ე საშუალო სკოლის დირექტორმა **გ. ა. ჩერკასოვამ.**

— საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან სწავლების შეხამების პირველი შედეგები გვიჩვენებენ, რომ მოსწავლენი ახლა უფრო სერიოზულად ეკიდებიან მეცადინეობას, მნიშვნელოვნად ამაღლდა მათი აკადემიური წარმატება, განმტკიცდა დისციპლინა, — ამბობს სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის დირექტორი **ა. ა. არშბა.** — სკოლის მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებაში. სასკოლო შენობისა და ინვენტარის რემონტი შესრულებულია თვით მოსწავლეთა ძალებით. მათი ხელით მოწყობილ იქნა სახეინკლო-მექანიკური და ელექტროტექნიკური სახელოსნოები, მანქანათმცოდნეობის კაბინეტი. სასკოლო სახელოსნოებმა უკვე მიიღეს პირველი დაკვეთები სოხუმის საქალაქო სამრეწველო კომბინატისა და აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო კანტორისაგან.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **დ. ო. ლორთქიფანიძე** ამბობს, რომ სკკპ XXI ყრილობის შემდეგ ინსტიტუტის კოლეკტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ცხოვრებასთან სწავლების კავშირის განხორციელების თეორიული და პრაქტიკული საკითხების დასამუშავებლად. ინსტიტუტის მთელი მეცნიერულ-კვლევითი, მასობრივ-მეთოდური და საგამმეცდლო საქმიანობა მთლიანად მიმართულია იმ ძირითადი ამოცანის განხორციელებისაკენ, რომელიც დასმულია სკოლის წინაშე, ისისაკენ, რომ მოსწავლენი მოამზადოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის.

შედგენილია ინსტიტუტის მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის შვიდწლიანი გეგმა, რომელშიც შეტანილია 300-ზე მეტი თემა. გეგმაში წამყვანი ადგილი უჭირავს ისეთი პრობლემების დამუშავებას, როგორიც არის ზოგადი, პოლიტექნიკური და პროფესიული სწავლების ურთიერთკავშირი, უმცროსი, საშუალო და უფროსი ასაკის მოსწავლეთა შრომითი სწავლების სისტემა, კომუნისტური მორალის აღზრდა, ბავშვთა და სკოლამდელი, უმცროსი და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სპეციფიკა სკოლა-ინტერნატებში და სხვ.

ინსტიტუტში შექმნილია შრომითი, პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების სექტორი, რომლის მუშაობაში ჩაბმული არიან კვალიფიციური სპეციალისტები. მათ შეიმუშავეს მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, მაგალითად, მუშაობის ორგანიზაცია და შინაარსი მანქანათმცოდნეობის კაბინეტში, ლითონის დამუშავება სასკოლო სახელოსნოში, V-VI კლასების მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ორგანიზაცია და შინაარსი მანქანათმცოდნეობის კაბინეტში, ლითონის დამუშავება სასკოლო სახელოსნოში, V-VI კლასების მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა, ბაღეობა-ბოსტნეულ-ბოსტნეულ-ბაღეობა, ბაღეობა-ბოსტნეულ-ბაღეობა, ბაღეობა-ბოსტნეულ-ბაღეობა, ბაღეობა

ი. გრიშაშვილის დაბადების 70 წლისთავისათვის

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილისათვის (იოსებ გრიგოლის-ძე მამულაშვილისათვის) საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადებიდან სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა პოეზიისა და ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილს (იოსებ გრიგოლის-ძე მამულაშვილს) მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წლის 3 ოქტომბერი.

საამშობლოს მებრძოლ დაკრძალვა მყოვან სიყვარულიდან სიყვარულამდე.

ი. გრიშაშვილი

3 ოქტომბერი. თბილისი. 1959.

გუშინ სახალხო პოეტთან

სკოლაში გვისწავლია და მის ლექსებზე გავზრდილვართ. მისი სიტყვა სიკეთის ჯეჯილად აღმოცენებულა ჩვენს გულში და მრავალთა ხმაში გამოგვირჩევია მისი ხმა. ხალხის ზღვაში თვალი მოგვიკრავს, უცნაური სიხარული განგვიცდია და ავდექნებივართ ჩუმად...

გუშინ კი თავად გაგვიღო კარი.

ჩვეულებრივად ამბობენ ხოლმე: არც კი ეტყობა სამოცდაათი წელი. კვლავ ძალ-ღონით სავსეა და გულდაუმცხრალია. სწორედ მის გულდაუმცხრალობაზე გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

ჟურნალისტები ზოგიერთ ამბავს წინადღით იგებენ. მეორე დღეს კი გაზეთი გამოვა და ქვეყანას მოედება. გუშინ მოვიდა თუ არა ცნობა გრიშაშვილს სახალხო პოეტობა მიენიჭაო, ძალაუნებურად ამიტომ ვამბობთ, რომ ამ დღეებში მას მეტად ბევრი სტუმარი ჰყავს და ზედმეტ შეწუხებას ერიდები, თორემ რა სჯობს გრიშაშვილის სტუმრობას!... მას გულითად ღია აქვს სახლის კარებიც.

ჩვენ სულითა და გულით მივულოცეთ საყვარელ მგოსანს მაღალი საამაყო წოდება, რომელიც მან დირსეულად დაიმსახურა ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის ქვეყანაში. დაიმსახურა, თორემ, სად გაგონილა ამ წოდების მინიჭება! ამ წოდებას თვით ხალხი ანიჭებს, ხალხი არქმევს სახალხოს თავის საყვარელ მგოსანს, რომელსაც უთვალავი ღამე უთენებია თეთრად სამშობლოს სადიდებელ გალობაში გართულს. მას მიწის იდუმალ წიაღივით მიუგია ყველაზე ლამაზისათვის, რაც კი ხალხის გულშია, და ოქროს წვიმად უწვიმებია საქართველოს მზემოფენილ მიწა-წყალზე ლექსები. პოეტს უთესია „მარცვალი ჯერეთ კიდევ დაუთესველი და ტკბილ შაირად აუმღერებია ქართლის ყანები“... მაგრამ მაინც სულ სხვაა, როცა ქვეყანა პირს შეკრავს და მთელი ხალხი ერთად დაგიძახებს თავის საყვარელ სახალხო პოეტს. ამიტომ ვერ იტყვი სიტყვით თუ რაოდენი სიხარული განიცადე კაცმა, რომელმაც დაინახე პირველი განუმეორებელი ცრემლი, ზღვა სიყვარულით აციაგებულ თვალზე მომდგარი...

* * *

მაგიდაზე პატარა სურა დგას. სურაში რამდენიმე თეთრი მიხაკია და შენდაუნებურად ჩურჩულებ:

„თეთრქობა მიხაკი, მიხაკი ნარნარა,
მზის ეშზნე აიწვა, ბზის ეშზნე ამდნარა“

მაგიდაზე ფურცლებიც აწყვია. თავფურცელს „ჩემი თავგადასავალი“ აწერია. ვინც გრიშაშვილის „ლიტერატურულ ნარკვევებს“ იცნობს, არ შეიძლება ამ ამბავმაც არ დაინტერესოს. იმ ნარკვევების წიგნში მხოლოდ რამდენიმე მოგონებაა დაბეჭდილი. „ჩემი თავგადასავალი“ კი მთელი მატიანე იქნება. სხვათაშორის, მეტად საგულისხმოა ერთი ამბავი. ადრე თურმე, პატარა ბიჭობაში, საფლავის ქვებზე აკეთებინებდნენ წარწერებს ლექსად. გრიშაშვილს თავის თავგადასავალში იმ დროს შეთხზული რამდენიმე ეპიტაფია მოჰყავს. ამ პატარა წერილის წერის დროს კი წინ მიდევს გრიშაშვილის ერთადერთული, რომელიც სიცოცხლის სიყვარულისა და ახალი სამშობლოს შენების სადიდებელია... და ვფიქრობ რა უნდა იყოს ამ ორ ამბავს შორის საერთო? ალბათ სიყვარული, ადამიანის სიყვარული, ხოლო სიკვდილი კი განახლებული სამშობლოს ძახილმა დაამარცხა, წინსვლამ დაამარცხა, სამშობლოსთან ერთად წინსვლამ, ქვეყნისათვის ზრუნვამ და მოუსვენრობამ, რომელზედაც თვით პოეტი ამბობს:

„ჩემი სულის ცელქობაც ჩახრიალას
მსგავსია,
ხან ტალღებად ტრიალებს, ხან
ნაპირწყლით სავსეა.
დიაღ, მოუსვენრობა არის ჩემი
დიდება, —
აგორებულ ქვას ვგევარ, ხავსს არ
მეკიდება!“

გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ამბავი მთელ ქვეყანას სმენია. თუ შეიძლება ითქვას საქართველოში ორი საჯარო ბიბლიოთეკაა. მაგრამ წიგნების გარდა მის ბიბლიოთეკაში ინახება ყველა ქართული თუ აღმოსავლური საკრავი და ამიტომ მის სახლს ბიბლიოთეკა-მუზეუმი შეიძლება უწოდოს კაცმა. თუ მოიხიბლე, წიგნებს ცოტა „ალმაცერად“ გადახედე პოეტი ღიმილით დაიწყებს თავის „შინაურულ შაირსს“:

„წიგნს შეეწირე ყველაფერი,
გამიჩინა გულს იარა.
მთხოვე რაც გსურს, მთხოვე რაც
გსურს,
პირანგს მოგცემ, წიგნს კი არა!“

თუმცა მთელი თავისი ბიბლიოთეკა კი ქვეყანას, ხალხს გადასცა, და განა მარტო ბიბლიოთეკა?!.

* * *

ჩვენს იქ ყოფნაში ათასი ფოტორეპორტიორი მოვიდა... ათასჯერ თუ არა, ასჯერ მაინც დარეკა ტელეფონმა, ასი თუ არა ათმა მაინც დააკაკუნა კარზე... ფოტალიონები ხომ მოდიან და მოდიან.

— დაიღალეთ ალბათ?

— რა ვქნა, სახალხო თუ ვარ, სახალხო უნდა ვიყო!

და რაღაცა საოცრად მომხიბვლელი, ამაყი ღიმილი ეფინება პოეტს...

წამოსვლის წინ კი დაარღვია თავის „კანონი“ და 1913 წელს ვინმე ლოსებერიძის სტამბაში თავის ხელით დაბეჭდილი პატარა წიგნაკი მაჩუქა. წიგნაკში მისი პირველი ლექსებია მოთავსებული. ამ პატარა წიგნაკის პირველ გვერდზე კი ეწერა: თვით მარმარილოდ გაშლილი ცა, რომ ქაღალდად გადაქცეს, ზღვა — მელნად, და ან კიდევ, მზის თვითეული სხივი — კალმად, მაშინაც კი ვერ ავსწერ შენი ღიმილის მომხიბვლელობას.

და მეც ამასვე ვფიქრობდი ჩვენი საყვარელი პოეტის ღიმილზე.

გურამ გოგიაშვილი.

ოთხ

ამ მომენტიდან, როცა ახალგაზრდა კაცმა გულში ჩაიდო თავისი ცხოვრების ჩვეულებრივი დინებისათვის მიმართულების შეცვლა, თვითონაც საოცრად შეიცვალა. დაფიქრებული, რამდენადმე გულჩათხრობილი ეჩვენებოდათ იგი ტოლ-მეგობრებს. თვალახელილი დადიოდა, მაგრამ ირგვლივ თითქოს ვერავის ამჩნევდა... მხოლოდ საკუთარი გულის სიღრმეში იბედებოდა. ეს გული კი თურმე ზღვა ყოფილა — ახლაღა მიხვდა ამას — უძირო, ძნელად ამოსაცნობი. სანამ უშფოთველად ლივლივებდა ეს ზღვა, იგი მას ვერც გრძნობდა; ახლა კი რაღაც მანამდე უცნობ ძალამ ქარს დაებერა და ეს ზღვა — გული — აეტალღებინა. სიყვარულის ნექტარნასვამი ტკბილ ბურანში დადიოდა ამ ზღვაგულის პატრონი და ვერც ვერავისთვის გაეზიარებინა თავისი ფიქრები. ჭაბუკური მორცხვობა და სიფრთხილე — გულისნადები არავის გაეგო — ადრე ტკბილმოუბარს ახლა კრიჭას უკრავდა.

ჭაბუკის ეს უცაბედი ნირშეცვლა ყველაზე ადრე თანშეზრდილმა ბიძაშვილმა ფუფამ შეინიშნა, და იგი არ მოეშვა, სანამ დახურული გულის კარი არ გაუღო:

— გამონაპირდი ერთი, ჯუმბერ, აქეთ. რა ხასიათზე ხარ, გამაგებინე! — მოსდო განიერ ბეჭზე ფუფამ ხელი ბიძაშვილს.

ჯუმბერი ახალი დაბრუნებული იყო ოქუმიდან, სადაც, მომავალი აგროტექნიკოსი, პრაქტიკას გადიოდა. შინ ვერ მოიცადა, ადგილს ვერ პოულობდა, ნაშენისაკენ გამოეშურა, იქ თავისი ტოლი გოგოებიები ეგულებოდა, ნაშენის ზღვად გადაშლილ ჩაის პლანტაციებში. ბზე არემიდამოს უხვად აფრქვევდა თავის ცხოველმყოფელ სხივებს. ნელი ნიავი სახეზე ელამუნებოდა ჯუმბერს, შავგრუზა თმას უქოჩრავდა. ეს — მშობლიური ველ-მინდვრები ეამბორებოდნენ თავის ჭაბუკს.

— მომილოცავს, — დაარღვია მცირე ხნის დუმილი ჯუმბერმა.— უკვე კომუნისტური შრომის რგოლი გქონია.

— სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, — გაიწყვეტინა ფუფამ, — ბიძაჩემი დამიდარდიანდა, ვაჟიშვილი მბარნაქცევივით დაიარებაო. შენზე ფიქრობს, — არ ასვენებდა ფუფა და მიიწევდა ცაცხვისაკენ. აგერ, ჟუნაც აქ არის. ჩამოვჯდეთ ამ მდელოზე, და გაგვიხსენ გული.

— ბიჭო, დიპლომის მიღების წინ მოიწყინე? აგროტექნიკოსი გახდი, უნდა გიხაროდეს...

ჩაურთო ახლა ჟუნამ.

— რაზე მელაპარაკებით, რას მატყობთ, არ მესმის — უგულოდ ჩაილაპარაკა ჯუმბერმა, თუმცა ხედავდა, რომ ამ უდარდელი პასუხით მათს ცნობისმოყვარეობას ვერ დააკმაყოფილებდა.

— ამას დამიხედეთ! — თქვა ფუფამ, — ვითომ არაფერიაო.

რასაც დობილები ბიძაშვილის „მბარნაქცევობაში“ ხედავდნენ, მოწყენილობა, დარდი როდი იყო. ხვალინდელის ტკბილი მოლოდინი, ფიქრი მომავალზე, ღრმა შინაგანი სიხარული, რომელსაც სხვას ვერ გაუზიარებ, რამდენადმე შიშიც — დაბრკოლებას რასმე არ წააწყდეო, თავის საკუთარ სამყაროში ჰკიტავდა ჭაბუკს. მაგრამ ამ ჩაკირკიტებულ ბიძაშვილს სადღა წაუვიდოდა.

— აბა... რაკი არ მეშვებით... — ჩაიბუტბუტა ბოლოს ჯუმბერმა.

— ჰო, ახლა, ამოშაქრე, — ვერ ითმენდა ჟუნა.

— ოქუმში დავიჭერი...

— ნანაია! — შეჰკივლა ფუფამ.

— სად, ბიჭო, მოგიკვდეს ჟუნა!

ხედავდა ჯუმბერი, რომ ესენი ცუდად ხდებოდნენ. გაიღიმა. მარჯვენა ხელი ნელა ასწია, და დაიდო გულზე.

— ჟუ, შენ არ მოისპე, შენ არ მოისპე... — აქაქანდა გახარებული ჟუნა.

— ვინ, ჯუმბერ... — გადაფითრდა ფუფა, — რუხში ვერ დაეტიე...

— რუხში? სათოდუოში? — ჩაეკითხა ჯუმბერ თოდუა.

— რატომ... ცოტანი გვყავს სხვა გვარისა?

— ასე კი არ ხდება მაგ, ფუფა, გრძნობის საკითხია, გენაცვალე! — სერიოზულად ჩაერია თოდუების რძალი ჟუნა.

— ვინ არის მაინც. არ გვიტყვი?

ჯუმბერმა მხარზე გადაკიდებული პლანშეტი წინ გადმოსწია და გახსნა.

ფუფამ ნერწყვი გადაყლაპა. ჟუნა მოუთმენლად ისრესდა ხელებს და იჭირიტებოდა პლანშეტში, რა ამოვა იქიდანო.

— მე გადავიღე, ამ ხანაგის „ფედით“, როცა ასე შემომციცინებდა...

ამოვიდა პლანშეტიდან სურათი. სტაცეს ხელი აქეთ-იქიდან.

— არ გამიხიოთ, ახლა, არ გამიხიოთ...

— როგორ მორთულა, შენი ჭირიმე! რათ უნდოდა ჩაიში გმირობის ორდენ-მედალი...

— კაი თვალები აქვს... — თქვა ჟუნამ, — სახეზე, აქ ცოტა...

— ეგ გამომქღავნების დროს, — არ აცალა ჯუმბერმა, — შუქი დაეცა ამ ადგილას, ა!..

— ტანადი ყოფილა...

— ადელინა, ფარცვანიას შენ გამოიყვან ნაშენში გმირის ვარსკვლავით?.. — არ „ცხრებოდა“ ფუფა, — შურა ბახტაძეს, მგონი, რაც მიიღო, მერე ერთხელ აქვს გაკეთებული მეზობლის ქორწილში. თავმდაბალი უნდა იყოს ადამიანი...

— ბებო ჭკადუას არ ეკეთა გუშინ კრეფის დროს? იტყვი შენც! — იწყინა ჟუნამ.

— ის, გენაცვალე, „მებრძოლიდან“ მოვარდა ფოტოგრაფი, და იმან სთხოვა — ზეგ ნომერში უნდა დავბეჭდოთო.

— ჰო-და მეც ვთხოვე, რომ იცი ხანდახან უშნო ლაპარაკი. სამი დღე ვეხვეწე ამ ადამიანს გამოსულიყო ასე პლანტაციაში. მოგწონს? — მიუბრუნდა ჯუმბერი ჟუნას.

— თუ ორიგინალიც ასეთია... გვარი?

— უკეთესი. მე რა, ფოტოგრაფი ვარ, თუ? ჰო, გვარი ბულისკერიაა.

— ჯუმბერ, შენი ჭირიმე, ნათელა, ბიჭო? — წამოიძახა გახარებულმა ფუფამ.

— არა. ნათელა ბიძაშვილია ამისი.

— აბა სხვა ვინ არის იქ გმირი?

— სად, გოგო, ოქუმში? თერთმეტი გმირია იქ, თერთმეტი. მარტო ამის ოჯახშია სამი გმირი ამიანად.

— ო, აბა, იმენა იქნება ეს, ვიცი ახლა, საბჭოთა კავშირის დეპუტატი რომ არის, ხომ? — ჩაურთო ჟუნამ.

— სწორედ! — ჯუმბურმა ნიავისგან ჩამოშლილი თმა თავის გაქნევით უკან გადაიყარა,—იცი, რა ადამიანია?—სული და გული.

— იცის ელიზბარ ბიძიამ? — ჰკითხა ფუფამ.

— საიდან. რაც არ მითქვამს... არც ლიდამ იცის.

— მერე? საპატარძლო მოგივა აქ და ის ეტყვის, თუ?

სწორედ ეს იყო სამძიმო და საღარდებელი. როგორ ეთქვა მამისათვის. საიდან დაეწყო. რომ თქვას „დამეკარგე აქედან, ჯერ რა დროს შენი ცოლიანობაო“?

მაგრამ ამ კუდრაჯა ფუფა თოდუას შენ გააჩერებდი? ეახლა სახლში ბიძას და ყველაფერი წვრილად უამბო. მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაინაპირა კანტორაში, ანთიმოზ ბიძია, ასე და ასეა საქმეო, უთხრა, პატარძალი გვყავს მოსაყვანიო.

— ამისთანა საქმეზე კაცი მოვიდეს, კაცი! ეს იცი, რამხელა ამბავია ცხოვრებაში?..

მერგოლური ფუფა თოდუა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამ მზრუნველურ სიტყვებს რომ ისმენდა, შინ ჯუმბერის ბედი საბოლოოდ წყდებოდა:

— მოდი, ბაბაია, აქეთ, აგერ დაჯექი ჩემს გვერდით, შენი სულის ჭირიმე, შენი ბედნიერებით გამახარე? შენს ბედნიერებას შემასწარი, შენ შემოგევლე?..

ჯუმბერი, ეს ლომივით ბიჭი, მამის სიტყვებით დამორცხვებული, მთლად მუჭის ოდენა ხდებოდა, მერე-და დედობილი ლიდაც, ვის ხელშიც ობოლი ბიჭი იზრდებოდა, გვერდით მოუჯდა! ლიდა სიხარულისაგან ტიროდა, ეხვეოდა, კოცნიდა თავის გაზრდილს.

— მივიდეთ, ჩემო ქალო, ჩვენი სოფლის მეთაურთან. ერთი ძირი ვაზის ავკარაზე ვეთათბირებით და ამოდენა ამბავი არ ვუთხრათ?

ანთიმოზი მართლაც მამასავით დაუხვდა მოხუც ცოლ-ქმარს.

— აჰა, ჩემი „ვოლგა“, მოემზადეთ და გასწით ოქუმისაკენ. ნახეთ რა, როგორ... პატარა საქმე კი არ არის. ფუფა ჩაისვით, ჟუნა წაიყვანეთ, ხუთი შვილის დედაა, პატივცემული ქალია, გამოცდილია. ნახეთ, მოელაპარაკეთ. რაკი გოგო-ბიჭს ერთმანეთი სურთ, წინ რა უნდა დაუდგეთ. ეფრემ გეთიას უთხარით — ანთიმოზ როგავა მძახლობას გთავაზობს-თქო...

...მოდიოდნენ ოქუმიდან. მაყრებს ოქუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ეფრემ გეთია მეთაურობდა. რუხში გულგაშლილად ხვდებოდა მათ ანთიმოზ როგავა.

სოფლის შემოსასვლელთან გაისმა:

„მოვდიავართ, მოგვიხარია,
მოგვყავს დედალი ხოხობი-ი“...

აქ, ელიზბარ თოდუას ოჯახში დამხვდური ვაქკაცები ხმას იწყობდნენ:

„მოიყვანეს პატარძალიი-ი...“

ქორწილი გაიმართა ისეთი...

ზეიმობდა ორი საკოლმეურნეო სოფელი — ოქუმი და რუხი.

...რუხისათვის ახალშენებული სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იმენა ბულისკერია ფუფა თოდუას კომუნისტური შრომის რგოლში განაგრძობს შრომას. პატარძალი აკვიფრებს სოფელს თავისი წარმატებებით, თუმცა მას ბევრად არც რუხელი დობილები ჩამორჩებიან.

...მოიყვანეს პატარძალი.

გაიხარე, ნეფე-დედოფალო!

ვლადიმერ თორდუა.

ზუგდიდი, რუხი.

როცა ასეთი სიყვარულია...

ვერ ვიტყვით, რომ რუსთაველის თეატრის სპექტაკლმა „როცა ასეთი სიყვარულია“ მხოლოდ ერთი მიმართულების რეაქცია და შეფასება ჰპოვა მაყურებლებში. ცხარე კამათი გამოიწვია პიესის პრობლემატიკამ, სპექტაკლის ფორმამ.

...ნებით თუ უნებლიეთ პიესის თითქმის ყველა მოქმედი პირის ხელი ურევია მომხდარ კატასტროფაში, მაგრამ მათი მოქმედება ვერ ექვემდებარება იურიდიულ კოდექსს და ამ მხრივ მსჯავრდადებელი რჩება.

ღრმა ადამიანური განცდებითა და ტკივილებით არის გამსჭვალული თანამედროვე ჩეხი დრამატურგის პავლე კოჰოუტის პიესა „როცა ასეთი სიყვარულია“. სიყვარულისა და ქორწინების თემა მასში უმძაფრეს პრობლემამდეა აყვანილი; მისი ირეული ხლართების გახსნისას გამომზეურებულია ადამიანური ძალა და სისუსტე, კეთილშობილება და ანგარება, თავგანწირვა და ეგოზმი.

ერთი შეხედვით, უჩვეულო და მეტად პირობითი ფორმა აქვს აქ ყველაფერს — პიესასაც, სპექტაკლსაც. მთელი დრამატურგია აგებულია „დროის ნახტომებზე“ — აწმყოდან წარსულში, წარსულიდან აწმყოში, უფრო მეტიც: ადამიანი სცენაზე გამოდის თავისი სკვდილის შემდეგაც — ხდება მისი მოქმედების გასამართლება (პირობითად აქ გამოყენებულია სასამართლო ძიების ფორმა). დროის ეს ნახტომები ქმნიან პიესის დრამატურგიულ ღერძს, მაგრამ ეს უაღრესად პირობითი ფორმა პიესისა დიდი რისკის წინაშეც აყენებს თეატრს: ოდნავი არადამჯერებლობა და ყველაფერი ეს შეიძლება საშინელ სიყალბეში გადავიდეს. რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი დიდი შემოქმედებითი გაბედულებით, ამასთან უტყუარი მხატვრული ტაქტით ახერხებს სპექტაკლში შინაარსობრივ-ემოციური მხარისა და ურთულესი კომპოზიციური კომპონენტების შეღუღებებას, მათ ერთ ფოკუსში თავმოყრას. მძაფრი სცენური ფორმების ძიება მ. თუმანიშვილის დადგმების ნიშანდობლივი თვისება იყო მუდამ; ამ წარმოდგენით კი რეჟისორმა ახალი ნაბიჯი გადადგა ადამიანურ სიღრმეებში ჩახედვის მხრივ. აქ მკვეთრად გამოვლენილი რეჟისორული ნახაზი ოდნავაც არ ზღუდავს მსახიობთა შემოქმედებას და მათ შორის დამყარებულია ომვიათი ჰარმონია. აქედან — ფორმისა და შინაარსის, გარეგნული სიმკვეთრისა და შინაგანი სიღრმის სრული შესატყვისობა, საერთოდ ეს წარმოდგენა ქართული თეატრის ცხოვრებაში გაბედული შემოქმედებითი ძიების, თანამედროვე თეატრალური ფორმების დამკვიდრების თვალსაჩინო ნიმუშია. კოჰოუტის პიესაში პირობით თეატრალურ ხერხებზე უშუალოდ მითითებულია ავტორის მიერ. თითქოს ყველაფერი ცხადი უნდა ყოფილიყო და, ერთი შეხედვით, ამას უნდა გაეადვილებინა თეატრისთვის სწორი და პირდაპირი გზა. მაგრამ პიესაში ბ. ბაბოთა სცენაზე განხორციელებულ მის დადგმებში ჩაკვირვება ცხადყოფს, რომ არც თუ იმდენად სწორხაზოვანი გზა არსებობს ამ შემთხვევაში თეატრისათვის. მხოლოდ ნაწარმოების იდეურ და მხატვრულ ჭეშმარიტებას, მის სიღრმეებში ჩაწვდომისას, თეატრალურ პირობითობათა აბსოლუტურ „გასულდგმულებას“ შეუძლია გამოიღოს სასურველი ეფექტი. ამ ეფექტს კი აშკარად ვხედავთ რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლში. თეატრმა პიესაში ამოსწია დრამის ძირითადი არსი, ღრმად გაიგო გამოძიება-დაკითხვის პროცესის პირობითობა და ამით ჩამოაშორა ყოველგვარი დეკლარაციულობა.

წარმოდგენა ვითარდება შეუჩერებელი დაძაბულობით და ყველა მისი კომპონენტი მიმართულია მთავარი, საკვანძო მომენტების გაშალვანებისაკენ. ხატოვანებისა და ფსიქოლოგიური სიღრმის უფაქიზესი შეზავებით არის აღბეჭდილი სპექტაკლის მიზანსცენები, რომელთა უმრავლესობას დიდი მხატვრის ხელი ეტყობა. სულიერი გრადაციების პირდაპირ „საკვანძო წერტილებს“ ხვდება მუსიკა (შერჩეულია ნ. ჭიშმარეთის მიერ XIX საუკუნის ევროპული მუსიკიდან) — შთამაგონებლად ჟღერს აქ ბეთჰოვენის, ლისტის, ბრამსის ჰანგები.

ძნელია ამ სპექტაკლში მხატვრის განცალკევება რეჟისორისაგან, იმდენად არის მათი ფუნქციები ურთიერთ განპირობებული. დიმიტრი თავაძე საუცხოოდ გრძნობს სცენურ რელიეფს და სრულიად მარტივი საშუალებებით დიდ ეფექტს აღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ მხატვარი სწორედ ისეთ სპექტაკლებშია ძლიერი, რომლებიც პირობითი თეატრალური ხერხებით არის გადაწყვეტილი. შეიძლება ვუსაყვედუროთ რეჟისორსა და მხატვარს კინოპროექციების გამოყენებისას ზომიერების დარღვევა.

სცენისა და მაყურებლის კონტაქტში გარკვეული წვლილი მიუძღვის თ. ჯანელიძეს, რომელმაც პიესა თარგმნა სადა და საკმაოდ სახოვანი ენით. არ იგრძნობა, რომ ეს არის თარგმანი, რაც უეჭველი ღირსებაა და ბუნებრივ მდგომარეობაშია აყენებს როგორც მსახიობებს, ისე მაყურებელს.

რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი

პიესისა და სპექტაკლის მსვლელობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს შავმოსასხამიანი კაცი, იგი არის სცენაზე მომხდარი დრამის და მისი ყველა პერიპეტიის ბრძენი კომენტატორი, „სინდისის მოსამართლე“ და ავტორის ჰუმანისტური ტენდენციის მატარებელი. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა სერგო ზაქარიაძემ ამ სახის გადაწყვეტისას უარყო „ცივი მოსამართლისა“ და მშვიდი მემატიანის ფორმა და უმაღლესი ემოციური დაძაბულობით მიჰყავს მთელი როლი, მისი „სინდისის მოსამართლე“ მაგრად ჩასჭიდებია გმირთა ცხოვრების სადავეებს და დღის სინათლეზე გამოაქვს მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები. დიდი დამარწმუნებლობით, უტყუარი „წონით და ძალით“ არის აღბეჭდილი მსახიობის ყოველი ნაბიჯი — ეს იქნება დაკითხვის სტენოლოგიური პროცესი თუ საბრალდებო სკამისაკენ გამოხმობის ეტაპი: ღრმად იჭრება იგი გმირთა ლირიულ სამყაროში და ნამდვილი ემოციურობით აღიქვამს მას. ყოველივე ეს ს. ზაქარიაძეს დიდი სიმკვეთრით და ინდივიდუალური მიდგომის გრძნობით აქვს განსახიერებული. მოვლენათა მსვლელობის შესაბამისად იხეული მისი ემოციური „გრადუსიც“ და ორეულივით სდევს გმირთა მოქმედებას. იშვიათი ეფექტურობით აქვთ მოძებნილი რეჟისორსა და მსახიობს „დამკვირვებლის პუნქტები“ მოქმედების მსვლელობის დროს; დროულად და ტაქტით იკავებს ს. ზაქარიაძე სცენის ცენტრს, ასევე დროულად უთავისუფლებს მთავარ გმირებს სამოქმედო არეს მას უშუალოდ უპყრია ხელთ წარმოდგენის „რიტმული საჯე“.

ს. ზაქარიაძის სცენური კონტაქტი სპექტაკლის დანარჩენ მონაწილეებთან და დამწყვეტ როლს თამაშობს აქტიორულ ანსამბლის ეფექტურობაში. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ აქ სხვადასხვა თამბისა და სკოლის მსახიობებმა მშვენივრად იპოვნეს საერთო ენა. მსახიობთა მთელი ჯგუფი სპექტაკლში დიდ შემოქმედებითი „ნახტომით“ წარმოგვიდგა და ამჯერად ეს წარმოდგენა თეატრის აქტიორული კოლექტივის თვალსაჩინო ზრდისა და დოსტატების მაჩვენებელია. ჩვენი ღრმა რწმენით, ჯერ არ გვინახავს ესოდენ ძლიერნი სალომე ყანჩელი, მედეა ჩახავა, გურამ საღარაძე, ბადრი კობახიძე, რამაზ ჩხიკვაძე. სიწმინდით, სიხალასით, თავის გრძნობებსა და გადაწყვეტილებაში მთლიანობითა და გაბედულებით ხასიათდება მ. ჩახავას მიერ განსახიერებული ლიდა მატისოვა.

ღრსეულ პარტნიორობას უწევენ მ. ჩახავას სტიბორისა და პეტრუსის როლების შემსრულებლები. შეიძლება თქვას, რომ სპექტაკლის მონაწილეთაგან ყველაზე „მოულოდნელი“ ზრდა გურამ საღარაძეს შეეტყო, რომელმაც არსებითად პირველად გამოამეღავნა ფსიქოლოგიური ხასიათის ძლიერი მსახიობის თვისებები. მსახიობმა მიაგნო მილან სტიბორის მეტად სახოვან გარეგნულ მოძრაობებს. რამაზ ჩხიკვაძე სიწრფელით და ტემპერამენტით გადმოსცემს პეტრი პეტრუსის გაორებას სიყვარულის გრძნობასა და უნებისყოფობას, დეკლარაციებსა და მოქმედებას შორის.

მეტად მძაფრი, ლაკონიური და სახოვანია ლიდა პეტრუსოვას როლში სალომე ყანჩელი. მის გარეგნულ თავდაჭერაში (რასთვისაც მსახიობს ბრწყინვალე ფორმა აქვს ნაპოვნი) ღრმად საგრძნობია დაოკებული ტკივილები, მთელი სისრულით რომ ამოსკდება საკუთარ თავთან დარჩენის — შავმოსასხამიან კაცთან გასაუბრების დროს. ნიჭიერმა მსახიობმა ნამდვილი ოსტატობა გვაჩვენა.

საუცხოოა ბადრი კობახიძე ვაცლავ კალის როლში. ამ მოდუნებული, მფრთხალი და ფლეგმატური ხასიათის გადმოსაცემად ბ. კობახიძემ იპოვნა მართალი, ორიგინალური შტრიხი: ზანტად და დაგვიანებით ხდება მისი რეაქცია ყველაფერზე.

წარმოდგენის კონცეფციას უპასუხებს თამარ თარხნიშვილის სტიბოროვა, რომელიც იძლევა შვილის გულწრფელად და ეგოისტურად მოსიყვარულე დედის დინამიკურ სახეს. მსუბუქი იუმორით და სპექტაკლის რიტმის გრძნობით ასრულებენ თავიანთ როლებს, რომელიც თეატრის თვალსაჩინო ძალად იზრდება, კ. საკანდელიძე (ტოშეკი), ლ. ტყავაძე (გრაბეტოვა), რ. ჩხაიძე (ოფიციანტი).

პ. კოჰოუტის ეს ფრიადნიჭიერი და ჰუმანისტური ქმნილება მრავალმხრივ საინტერესო პრობლემას აყენებს თავისი შინაარსითაც და ფორმითაც. რუსთაველის სახელობის თეატრმა ჩინებულად გახსნა პიესის იდეა, უპოვნა მას ბრწყინვალე ფორმა.

ანტონ წულუკიძე.

* * *

სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან. ზემოთ — სტიბორი — გ. საღარაძე (მარცხნივ), მატისოვა — მ. ჩახავა. ქვემოთ — პეტრუსი — რ. ჩხიკვაძე (მარცხნივ), შავმოსასხამიანი კაცი — ს. ზაქარიაძე.

აი რა უნდათ ხალხებს!

...დაე იყოს მეტი სიმინდი და ხორცი და ხულაც არ იყოს წყალბადის ბომბები!

ნ. ს. ხრუშჩოვი.



ნახ. გ. ლომიძისა.

„დალოცვილი მოვლენა მთელი მსოფლიოსათვის"

დელი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). „ეს არის დიდი მიღწევა", — ასე ახასიათებს ინდოეთის გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი" ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შედეგებს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აღნიშნავს, რა რომ დაძაბულობა არ შეიძლება გაქრეს და ცივი ომი არ შეიძლება დამთავრდეს ერთ დღეს, გაზეთი შემდეგ წერს: „როგორც პირველი გაბედული ცდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების მიმართულებით, ხრუშჩოვის ტრანსატლანტიკური მოგზაურობა დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. ცივი ომის ყველაზე ცივმა ფაზამ განვლო და ყინულმა ლობობა დაიწყო".

„იქმნება შთაბეჭდილება, — ხაზგასმით აღნიშნავს „ნეიშნლ ჰერალდი", — რომ ახლა გაიწმინდა ოთხი სახელმწიფოს უმაღლეს დონეზე თათბირის გზა..."

„დღევანდელ პირობებში, — წერს გაზეთი „მინდუსტანი", — მხოლოდ უგუნურს შეუძლია იფიქროს ომზე. ვერც ერთი სახელმწიფო მოღვაწე დღეს ვერ გაბედავს თქვას, რომ შეუძლია რაიმე კონკრეტული პრობლემა გადაჭრას ატომური ან წყალბადის ბომბის დახმარებით".

„ხრუშჩოვის მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი შეხვედრები პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან და რუსეთში ეიზენჰაუერის სიპასუხო მოგზაურობის პერსპექტივა, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ნავ ბჰარატ ტაიმსი", — დალოცვილი მოვლენაა მთელი მსოფლიოსათვის".

გზა გაიკაფა!

ლონდონი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის პრესა კვლავ უკეთებს კომენტარს შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგებს. „დეილი ტელეგრაფს" მიაჩნია, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრების დ. ეიზენჰაუერთან გზა გაუკაფა უმაღლესი დონის თათბირს. „უმაღლესი დონის თათბირი რუსეთთან ახლა უეჭველია", — აცხადებს გაზეთი. უმაღლესი დონის თათბირთან დაკავშირებით სერიოზულ ეჭვს იწვევდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პოზიცია. ახლა ნათელია, რომ ბ-ნ ხრუშჩოვთან მისი საუბრების შედეგად იგი მზად არის მიიღოს მონაწილეობა ასეთ თათბირში.

რაც უნდა მობდეს, ახლა ნათელია, აღნიშნავს გაზეთი, რომ მოიწყობა მთელი რიგი საერთაშორისო შეხვედრები და მოლაპარაკება. უმნიშვნელოვანესი ფაქტი, გაზეთის აზრით, ის არის, რომ „შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა ერთმანეთს შორის ახლა კონტაქტი დაამყარეს და განზრახული აქვთ დაიცვან იგი უახლოეს მომავალში.

ისევ კომუნისტურ პარტიაში

ლონდონი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). მაღაროელთა ეროვნული პროფკავშირის შოტლანდიის განყოფილების ვიცე-თავმჯდომარე და შოტლანდიის ტრედ-უნიონების კონგრესის გენერალური საბჭოს წევრი ალექს მოფაკი დღეს აცხადებს, რომ განცხადება შეიტანა კომუნისტური პარტიის წევრად კვლავ მიღების შესახებ. იგი კომუნისტური პარტიიდან გამოვიდა 1956 წლის ბოლოს მალე უნგრეთის ამბების შემდეგ.

თავის განცხადებაში მოფაკი აღნიშნავს: „გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ეს გადაწყვეტილება ასევითვე ნაბიჯისათვის აღაფრთოვანებს ბევრ ჩემს კოლეგას მუშათა მოძრაობაში, რომლებიც ისევე არიან განწყობილნი, როგორც მე.

მე ახლა ყველაზე უფრო ვარ დარწმუნებული, რომ თუ ინგლისში იარსებებს ძლიერი კომუნისტური პარტია, რომელიც დაეყრდნობა მეცნიერული სოციალიზმისა და მარქსიზმის პრინციპებს, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სოციალიზმს განახორციელებს".

ყოველი მხრიდან

პეკინი მოზეიმე

პეკინი, 2 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სახალხო ჩინეთში გრძელდება დღესასწაული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 10 წლისთავის გამო.

დღეს დილიდან ჩინეთის დედაქალაქის მშრომელები გაემართნენ პარკებში, კინოთეატრებსა და მუზეუმებში. პროსპექტებზე, ქუჩებში, მოედნებზე სუფევს საზეიმო გამოცოცხლება, ახალგაზრდობა მოდის ალისფერი დროშებით.

პეკინის ქალაქგარეთ პარკში, „ცის ტაძართან", სუნ იატ-სენის სახელობის პარკსა და სხვა ადგილებში მოეწყო სახალხო სეირნობანი. პარკებში გახსნილია ქრიზანთემების ტრადიციული გამოფენა, მოწყობილია სხვადასხვა ატრაქციონი, ნორჩი პიონერები და ახალგაზრდები აწყობენ სპორტულ თამაშებსა და შეჯიბრებებს.

მშრომელი პეკინი საღღესასწაულო სიხარულითა და ხალისითაა მოცული. დიდი სახალხო სეირნობანი ეწყობა აგრეთვე ჩინეთის ყველა სხვა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში.

კომუნიკე ეიზენჰაუერისა და სენიის მოლაპარაკების შესახებ

ვაშინგტონი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა ერთობლივი კომუნიკე პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა და იტალიის პრემიერ-მინისტრის სენიის საუბრების შედეგების შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა და პრემიერ-მინისტრმა სენიმ განიხილეს „ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა" და, ერთმანეთს გაუზიარეს რა აზრები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შესახებ, შეთანხმდნენ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის დროს მომხდარი „აზრთა გაზიარება სასარგებლო იყო მშვიდობის საქმისათვის".

ამასთანავე კომუნიკეში ნათქვამია, რომ „ისინი შეთანხმდნენ აგრეთვე იმის შესახებ, რომ ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას შენელდეს დასავლეთის ქვეყნების თავდაცვითი ღონისძიებანი". მათ განაცხადეს, რომ ნატო დარჩება მათი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად.

პრემიერ-მინისტრი სენი და საგარეო საქმეთა მინისტრი პელა განაგრძობენ მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან და ამერიკის მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან.

ს. ბანდარანაიკის დაკრძალვა

კოლომბო, 2 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ დაკრძალეს ცეილონის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ავადმყოფობის გამო ადრე გარდაცვლილი ს. ბანდარანაიკე. იგი დაკრძალეს თავის საგვარეულო მამულ ხორაგოლში, რომელიც კოლომბოს ახლოსაა.

ბრესაში გამოქვეყნდა ცეილონის მთავრობის გადაწყვეტილება—ძეგლი აეგოს ს. ბანდარანაიკეს და ცეილონში გამოცხადდეს ერთი თვის გლოვა.

დახმარება ინდონეზიისადმი

ჯაკარტა, 2 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის კონტრაქტს საბჭოთა კავშირის მიერ ინდონეზიისათვის კუნძულ კალიმანტანზე 662 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზების მშენებლობაში დახმარების გაწევის შესახებ.

უკანასკნელ საათს

მიხეილ ჯალი დაეწია კერესს

ზაგრები, 3 ოქტომბერი. (ტელეფონით). სახალხო არმიის დიდ საკონცერტო დარბაზში დღის 4 საათზე იუგოსლავიის დროით (თბილისის დროით საღამოს 7 საათზე) პრეტენდენტთა ტურნირის მთავარმა მსაჯმა ინგლისელმა ოსტატმა ჰ. გოლომბეკმა ჩართო საათები — დაიწყო მეთხუთმეტე ტური, მესამე წრის პირველი ტური. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ვ. სმისლოვი—მ. ტალი, პ. კერესი-რ. ფიშერი, ტ. პეტროსიანი-ფ. ოლაფსონი და პ. ბენკო-ს. გლიგორიჩი.

საინტერესოდ გათამაშდა კერეს-ფიშერის პარტიის დასაწყისი. საბჭოთა გროსმაისტერმა საეჭვო გაგრძელებას მიმართა. პაიკის მოგების მიზნით, რის გამოც საგრძნობლად ჩამორჩა ფიგურების განვითარებაში. ფიშერმა ხელთ იგდო ინიციატივა. შემდგომ კერესმა ვერ ააწყო დაცვა, დაკარგა ფიგურა და 28-ე სვლაზე დანებდა.

მწვავე თამაში გაჩაღდა სმისლოვ-ტალის შეხვედრაში. სმისლოვი, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, დიდი-ხნის მანძილზე შეუპოვრად იცავდა თავს. მაგრამ ტალი მაინც ინარჩუნებდა უკეთეს შანსებს. მოახლოვებულ ცაიტნოტში ტალს მხედველობიდან გამორჩა სმისლოვის ტაქტიკური დარტყმა. სმისლოვმა ეტლის შეწირვით ყაიმს მიაღწია. ასეთივე შედეგით 44-ე სვლაზე დამთავრდა ბენკო-გლიგორიჩის შეხვედრა.

ხუთსათიანი თამაშის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა პეტროსიან-ოლაფსონის შეხვედრა. შეწყვეტილ პოზიციაში შანსები თანაბარია.

თხუთმეტი ტურის შემდეგ პ. კერესს და მ. ტალს 10-10 ქულა აქვთ, ტ. პეტროსიანს — 8,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ს. გლიგორიჩს — 8,5 ქულა.

სამომარი მზადება თურქეთში

სტამბოლი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „მილიეთი" იუწყება რომ 1960 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები მიაწვდიან თურქეთს საშუალო სიშორის მოქმედების მართულ ყუმბარებსა და მსუბუქ ბომბდამშენებს. წელს, წერს გაზეთი, თურქეთის არმიის პირადი შემადგენლობის ჯგუფი გაიგზავნება ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომური და რაკეტული იარაღის შემსწავლელ კურსებზე.

ჩინეგზულია!

ქართული კულტურის დღეები პოლონეთში

ვარშავა, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ვარშავის ცენტრის მახლობლად, უცნობი ჯარისკაცის საფლავის ჯვერდით მდებარეობს მინის სახურავიანი ლამაზი შენობა. მას ეწოდება „ზახენტი", რაც ქართულად ნიშნავს „წახალისებას", „მოწონებას", ოდესღაც ძველ ვარშავაში აქ გამოაფენდნენ ხოლმე თავიანთ ნაწარმოებებს ახალგაზრდა მხატვრები დასათვალიერებლად. ახლაც „ზახენტში" ეწყობა სხვადასხვა გამოფენა.

დიდძალი ხალხია ამ დღეებში „ზახენტის" სადგამოფენო დარბაზებში. აქ პოლონეთში ქართული კულტურის დღეების გამო მოწყობილია საქართველოს თანამედროვე ხელოვნების გამოფენა. გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია საქართველოს ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის 300 ნაწარმოები, მოეწონათ ვარშაველებს. ამას მოწმობს ის, რომ დამთვალიერებლები დიდხანს ჩერდებიან ქართველი მხატვრების ნაწარმოებებთან, მრავალ ჩანაწერს სტოვებენ შთაბეჭდილების წიგნში. აი ზოგიერთი მათგანი:

„ყოჩაღ, ჩინებულია! ბევრი რამ არის სანახავი, ბევრი რამ იწვევს აღტაცებას!" „საქართველოს ხელოვნება გიტაცებს ხასიათთა სიუხვით. იგი საუცხოოდ ასახავს საქართველოს ჰავასა და კოლორიტს"... „იშვიათია ისეთი დღესასწაული, ისეთი გამოფენა, რომლის დატოვებაც გენანება".

ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენას მაღალ შეფასებას აძლევს პოლონეთის პრესა.

როცა შედიხარ ვარშავის „ზახენტში", წერს დღეს „ტრიბუნა ლუდუ", რომლის დარბაზებში ამჟამად მოწყობილია საქართველოს თანამედროვე ხელოვნების, აგრეთვე ქართული არქიტექტურის გამოფენა, პირველ წუთიდანვე მოგეჯადოვებს ქართული ხელოვნების ორიგინალობა და სილამაზე. მხატვრული ფორმების სიმდიდრე, ტექნიკის მრავალგვარობა... — აი თვისებები, რომლებიც საქართველოს ხელოვნებას ახასიათებენ.



მთაში შობილა, მთაში გაზრდილა და დავაუკაცებულა ეს ჯანიერი ქართველი ახალგაზრდა. მისი სამშობლო კუთხე იქ არის, სადაც გაისმის თერგის ღრიალი, რძისფერი ჩანჩქერებისა და ნაკადულების შხეილი. ბავშვობიდანვე შეიყვარა მშობლიური მყინვარი — ხან ღრუბლიანი, ხან მზეზე მოკაშკაშე. ჯიხვივით ადიოდა პიტალო კლდეებზე, სალამურის სტვენით უხმობდა იალაღზე შეფენილ ცხვრის ფარას. ნოღაის ველზეც ყოფილა და ჩინებულად გამოზამთრებული ფარებით დაბრუნებულა წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში, სადაც ამჟამად მუშაობს მწყემსად.

— ვინ არის იგი?

— ერთ-ერთი მოწინავე მწყემსი ბადრი ღუდუშაური.

ფოტო დ. იაკობაშვილისა

(წარმოდგენილია ფოტოკონკურსზე).

სსრ კავშირი—ჩინეთი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეათე წლისთავთან დაკავშირებით პეკინში საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად იმყოფებიან სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. გუშინ ჩვენი ქვეყნის ნაკრები შეხვდა ჩინეთის ნაკრებს. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. ანგარიშით 1 : 0.

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი" და სტალინოს „პახტაორი". მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2 : 2.

„ბ" კლასი

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე „ბ" კლასის მესამე ზონის გუნდებისათვის. თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდმა დაამარცხა ქუთაისის „ტორპედო" ანგარიშით 2 : 0.

საჭიდაო ხალიჩაზე

გ. სხირტლაძის პირველი გამარჯვება

წარმატებით გამოდიან საბჭოთა მოჭიდავეები მსოფლიო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც თეირანში მიმდინარეობს.

შეჯიბრების მეორე დღეს უმჩატესი წონის მოჭიდავემ ალი ალიევმა ქულებით გაიმარჯვა ბულგარელ დიმიტროვთან. საყოველთაო ინტერესს იწვევდა სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონის თბილისელ ვლადიმერ არსენიანის და მსოფლიო ჩემპიონისა და მსოფლიო თასის მფლობელის თურქ ხ. აკბასის შეხვედრა. პირველი ექვსი წუთის განმავლობაში ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება. კენჭისყრის შედეგად ჩოქბაჯენში ყოფნამ პირველად საბჭოთა მოჭიდავეს მოუწია. თურქმა შეძლო მისი ხიდურზე გადაყვანა და საჭირო ქულის მოპოვება. ამ ერთადერთმა ილეთმა თურქ ხ. აკბასს მოუტანა გამარჯვება. ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეების ერევნელი ნორიკ მუშელიანის და ფინელი პენტილის შეხვედრაში ქულებით საბჭოთა სპორტსმენს ერგო გამარჯვება. კიეველმა ვლადიმერ სინიავსკიმ 2 წუთსა და 40 წამში დაამარცხა შვეიცარიელი იაგმაკი.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვახტანგ ბალავაძემ მეექვსე წუთზე სუფთა გამარჯვება მოიპოვა პოლონელ ეიჭიკთან. ოლიმპიური ასპარეზობის მსოფლიო პირველობის პრიზიორს საშუალო წონის მოჭიდავეს გიორგი სხირტლაძეს პირველი შეხვედრა ჰქონდა პოლონელ ბ. ციგაროვიჩთან. გ. სხირტლაძემ 4 წუთსა და 17 წამში მოწინააღმდეგე ხალიჩას გააკრა. ბორის კულაევისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის რაუსის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მძიმე წონის მოჭიდავემ სერგი ძარასოვმა უკანასკნელ წუთში წააქცია პოლონელი სოსნოვსკი.

დაე ძლიერმა გაიმარჯვოს

სსრ კავშირის თასი ტანვარჯიშში

დღეს თბილისში იწყება 1959 წლის სსრ კავშირის თასის გათამაშება ვაჟთათვის ტანვარჯიშში. ეს დიდი სპორტული ღონისძიება მეოთხეჯერ ტარდება. იგი პირველად 1955 წელს მოეწყო. მაშინ თასის მფლობელი მსოფლიოში ცნობილი ტანმოვარჯიშე ბორის შახლინი გახდა. შემდგომ ასპარეზობაში შახლინს ფარხმალი არ დაუყრია და დღემდე უცვლელად ინარჩუნებს სსრ კავშირის თასს ტანვარჯიშში.

ძნელია იმის თქმა, შეინარჩუნებს თუ ვერა სახელოვანი ტანმოვარჯიშე ბ. შახლინი ამ სპატიო ჯილდოს. მას სსრ კავშირის თასისათვის შეეცილება ორმოცდარვა უძლიერესი ტანმოვარჯიშე. თბილისელები 4 ოქტომბერს იხილავენ ცნობილ სპორტსმენებს, მსოფლიოს, ევროპის და ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონებს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ბორის შახლინს, ალბერტ აზარიანს, ვლადიმერ პორტნოის, პავლე სტოლბოვს, ალბერტ აზნაურიანს, გრანჩ შაგინიანს, აგრეთვე ქართველ სპორტსმენებს — სპორტის ოსტატებს რევაზ კაჭაძიძეს და ნოდარ მაკალათიას, რომლებიც ჩინებულ სპორტულ ფორმაში არიან.

შეჯიბრება მხოლოდ ერთ დღეს გასტანს. დილით ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტის დარბაზში ჩატარდება შეჯიბრება მრავალჭიდში, ხოლო საღამოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ცალკეულ იარაღებზე.

წლევანდელი სსრ კავშირის თასის გათამაშება ტანვარჯიშში იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ უნდა გამოვლინდეს ორი უძლიერესი ტანმოვარჯიშე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის 1959 წლის თასის გათამაშებაში, რაც გაიმართება კოპენჰაგენში 18 ოქტომბერს.

ყველაფერი მზად არის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებისათვის. წარმატება ეუსურვოთ მონაწილეებს, დაე ძლიერმა გაიმარჯვოს.

ბ. ჯილაია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ტანვარჯიშში.

თბილისის „დინამოს" მატჩები ოქტომბერში

ოქტომბერში თბილისის „დინამო" სსრ კავშირის პირველობაზე გამართავს ექვს შეხვედრას. **6 ოქტომბერს** პირველი წრის გამმტოვებულ მატჩს ითამაშებს ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტთან". **თერთმეტში** ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შეხვდება მოსკოვის „დინამოს", **თექვსმეტში** როსტოვში ადგილობრივ არმიელებს, **ოცდაერთში** თავის სტადიონზე მიიღებს ლენინგრადის „ზენიტს", **ხუთი დღის** შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს. თბილისის დინამოელები მიმდინარე პირველობის უკანასკნელ თამაშს გამართავენ **31 ოქტომბერს** კუიბიშევში ადგილობრივ „კრილია სოვეტოვთან".

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

შემოდგომა

დოვლათით ავსებს ბეღლებს და ქვევრებს შემოდგომა ჩვენს ქვეყანაში. დადგა ტეხა-კრეფის ტკბილი დღეები. გრილ ნიავში ირხევა ვალმოხდილი ჩაის ბუჩქი, რომ სამშობლოს მისცა ძვირფასი მწვანე ფოთოლი. ხნულებით შავდება ნაპურალი ველები, სადაც ზაფხულში ზღვასავით ღელავდა ქარვისფერი ყანა და ათ ღდეში აიღეს მარცვლეულის უხვი მოსავალი. ახლა უკვე ფარდულებში დგანან, მომავალ ზაფხულამდე ისვენებენ ჩვენი მინდვრის ხომალდები — კომბაინები. მძლავრი ტრაქტორები კი კვლავ გუგუნებენ და ბელტებად აბრუნებენ ჩვენს მარჩენალ მიწას.

შემოდგომა გვესტუმრა, მსუყე, ბარაქიანი შემოდგომა. გაფრინდნენ ლაღი მერცხლები, მაგრამ აქ დარჩა გაზაფხული, მშვიდობისა და შრომისმოყვარე ხალხის ნანატრი გაზაფხული. იგი წელიწადის ყველა დროში იგრძნობა, მაგრამ უფრო კი მაინც შემოდგომით ამცოცავებს თავის ბრწყინვალებას და მშვენიერებას. საღი ნაყოფით, დიდი ჭირნახულით ახარებს საბჭოთა ადამიანს მისი მარჯვენით ნარგავ-ნათესი.

ქარვისფრად ღუიან მწიფე მტევნები. ჩაღდება ყველასათვის საყვარელი, მარადსახსოვარი, გულისგამხარებელი რთველი, ჩვენი, ქართული რთველი.

რამდენი სიხარული და ღიმილი იფრქვევა ახლა საქართველოს მშვენიერ ზვრებში, ბაღებში, პლანტაციებში. ხალისიან შრომას დასწაფებია საკოლმეურნეო სოფელი. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა სამუშაოზე იჩქარის. ყველგან გამოცოცხლება, ხალხის დიდი მოძრაობაა ჩვენი სამშობლოს შარაგზებზე. ადრე დილიდან გვიან ღამემდე გარეთ არიან კოლმეურნეები. კრეფენ და კრეფენ ჩაის ფოთოლს და უხვად მოწეულ ხილს, ამინავებენ ბოსტნეულს, იღებენ მზესუმზირას, იწყებენ სიმინდის ტეხას, ატარებენ საშემოდგომო ხვნა-თესვას, ბევრი კი რთველში გასულა ყურძნის საკრეფად. საცაა ნარინჯოვანთა ხეებზე მსხმოიარე ოქროსაც მოწყვეტენ. საქართველოში.

ხარ მშვიდობის დასაყრდენი ბურჯი
აყვავდი და შრომით გაგიხარია.
ვის ეყოფა დასახატად ფუნჯი —
საქართველო შთაგონების მხარეა.

ბარაქიან ჭირნახულს შეჰხარიან, მადლიან შრომაში ხედავენ ცხოვრების სილამაზეს ჩვენი კოლმეურნეები. რესპუბლიკის მეჩაიეებმა წელს ვადაზე ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, და ახლა თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებაც,— სახელმწიფოს ჩააბარონ 140 ათასი ტონა ჩაის ნედლეული.

საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან ჩვენი მეცხოველეები წლევანდელ შემოდგომასაც. მთელმა რიგმა რაიონებმა შეასრულეს ხორცის, რძის ნაწარმის კვარტალური გეგმები და ბრძოლას განაგრძობენ წლიურ დავალებათა ვადამდე გასანაღდებლად, საქმეებით უპასუხებენ აღთქმულ პირობას მზიურ საქართველოს შრომისმოყვარე კოლმეურნეები.

ხვავი და ბარაქა მოაქვს ქვეყნად შემოდგომას. დოვლათით გვახარებს მისი სტუმრობა. მაგრამ წლევანდელი შემოდგომა მაინც სხვაა. იგი უფრო დიდი, საკაცობრიო სიხარულის მომტანია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. კარგ დარს, მზიან ამინდს გვიჩენებს ბარომეტრის ისარი.

უსაზღვროა მთელი მსოფლიოს აღტაცება საბჭოთა მეცნიერების მართლა ზღაპრული მიღწევით. კოსმოსში გაიჭრა მეორე საბჭოთა რაკეტა და მთვარის ზედაპირზე დაეშვა. ახლა მთვარეზეა ატანილი საბჭოთა კავშირის გერბი და სახელმწიფო ალმი. ეს სასწაული კი არა, სინამდვილეა. ფრთები შეესხა კაცობრიობის სანუკვარმა ოცნებამ. საბჭოთა ადამიანის გენიამ პირველმა დაიპყრო კოსმოსი და ნათელ გონებას განაჭვრეტინა ციური სამყაროს იდუმალება. მსოფლიო ტაშს უკრავს საბჭოთა მეცნიერებს

კარგად დაიწყო, იმედს გვინერგავს. დიდ ჭირნახულს გვპირდება პირველ შვიდწლედის პირველი შემოდგომა.

ვარლამ ჟურული.

• • •

სურათებზე: (მარცხნივ) ლაითურის სახოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტები ნოდარ მარგალიტაძე და ოლია ლაკლაკაშვილი, რომლებიც ჩაის კრეფის დღიურ ნორმას 150-160 პროცენტით ანადღებენ, (მარჯვნივ) ბრეთის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა მ. ჯამიაშვილი, (ქვემოთ) ფოტოეტიუდი შემოდგომა მოვიდა.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა და ი. ტერელაძისა.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67. განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვებლის — 3-06-98.

ᲡᲐ 01960

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა